

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის N001/14 რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა¹

მარიამ ლევიშვილი (სტუდენტი)

შეკითხვა: იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი ადვოკატისაგან მოითხოვს ისეთი ქმედების განხორციელებას, რაც შესაძლოა არღვევდეს კანონმდებლობას, როგორ უნდა იმოქმედოს ადვოკატმა?

ანალიზი: ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 6.1 მუხლისა და აპეკ-ის მე-5 მუხლით, ასევე იხელმძღვანელა მის მიერ 2011 წლის 07 მარტის გადაწყვეტილების (დისციპლინურ საქმეზე №057/10/) მიხედვით და განმარტა, რომ ადვოკატის უმთავრეს პროფესიულ ვალდებულებას წარმოადგენს კლიენტის ინტერესების დაცვა, რომელიც მაღლა დგას, როგორც ადვოკატის პირად, ასევე სხვა პირთა ინტერესებზე. ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დაცვა უნდა განახორციელოს კანონით განსაზღვრული საშუალებების გამოყენებით და მიზნად არ უნდა დაისახოს კლიენტისათვის სასურველი შედეგის მიღწევა არაკანონიერი საშუალებების გამოყენების გზით. შესაბამისად, კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს.

დასკვნა:

იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი ითხოვს ადვოკატისაგან კონკრეტული ქმედების განხორციელებას, რომელიც შესაძლოა არღვევდეს მოქმედ კანონმდებლობას, ადვოკატმა უნდა იმოქმედოს კანონიერების პრინციპის დაცვით, მიუხედავად კლიენტის ინტერესებისა.

¹ <https://gba.ge/pdf/5c91ebb6245ef.pdf/15%20January%202014%20001.14.pdf>